სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

27 აგვისტო, 2025 წელი

ბრძანება N 01-02/164

ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N244 დადგენილების, ,,2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს MES 5250000958353 ბრძანების, ,,2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს MES 4250000958415 ბრძანების, ,,2025 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2025 წლის 06 აგვისტოს MES 2250000958350 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 08 თებერვლის N01-02/11 ბრძანების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2025 წლის 25 აგვისტოს N1020162 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წლის შემოდგომისათვის გამოცხადდეს მიღება წინამდებარე ბრძანების **N1 დანართით** გათვალისწინებულ ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის მსურველთა (აპლიკანტთა) რეგისტრაცია განხორციელდეს **2025 წლის 01 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით,** ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე - http://vet.emis.ge/ ან/და ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მხარდაჭერით - შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. №15, III სართული, ოთახი N310 (ცხელი ხაზი: 5554949395).
3. ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრმა უზრუნველყოს ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის შემოდგომისათვის მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება და

წინამდებარე ბრძანებასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში - ,,განცხადებები''). მიღების გამოცხადების შესახებ ინფორმაცია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ გავრცელდეს ცენტრის გვერდზე სოციალურ ქსელში.

4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი'') და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს ინოვაციებისა და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2025 წლის საშემოდგომო მიღების გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 27 აგვისტოს **N** 01-02/164**ბრძანების**

დანართი 1.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებზეც ცხადდება მიღება 2025 წლის შემოდგომისათვის
(სწავლა დაიწყება 2025 წლის 25 ნოემბერს)

	ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა კრედიტებში		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა თვეების მიხედვით		მისაღები კონტიგენტი (ადგილების რაოდენობა)	მისაღები კონტიგენტიდან (მათ შორის) ადგილების რაოდენობა **სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის**
		ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის		
1	**საფინანსო სერვისები** (III დონე, მოდულური)	52	67	8	11	30	3
2	**საბიბლიოთეკო საქმე** (IV დონე, მოდულური)	94	124	16	21	20	2
3	**საექთნო განათლება** (V დონე, კოოპერაციული)	180	210	31	37	14	1
4	**აღმზრდელი** (V დონე, კოოპერაციული)	116	146	24	29	20	2
5	**ბუღალტრული აღღიცხვა** (V დონე, კოოპერაციული)	99	129	22	27	20	2
	სულ:					**სულ - 104**	**სულ - 10**